ონის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2022წელს გაწეული მუშაობის შესახებ

მოგესალმებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ინფორმაციას ონის მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების მიერ 2022წელს განხორციელებული პროექტებისა და სამუშაოების შესახებ.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის გეგმა შეადგენდა 6 606 500 ლარს, წლის განმავლობაში სხვადასხვა ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით, ჭარბი შემოსულობებითა და ანგარიშზე არსებული 2022წ. 1 იანვრის ნაშთით გაიზარდა 18 428 718 ლარით და დაზუსტებულმა ბიუჯეტმა დღეის მდგომარეობით შეადგინა **25 035 218** ლარი, რაც გასული 2021 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილი იქნა 2 730 800 ლარით 12%-ით. 2022 წლის დაზუსტებული ბიუჯეტიდან 77%, 19 163 000 ლარი მიმართულია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის.

მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები განსაზღვრული იყო:

1. ინფრასტრუქტურის განვითარება;
2. დასუფთავება და გარემოს დაცვა;
3. განათლება;
4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები;
5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
6. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა.

- **ონის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და ინფრასტრუქუტრის სამსახურების კოორდინირებულად მუშაობის შედეგად:**

გამოცხადდა და დასრულდა ტენდერები, მომსახურებასა და სამუშაოებზე ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით.

რეგიონში განსახორციელებლი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტებია:

1. **სოფ ღებში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.**
2. **სოფ კვაშხიეთში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.**
3. **სოფ ქრისტესში, შეუბანში და ზემო ბარში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია.**
4. **სოფ უწერაში არსებულ წყალსადენ სისტემაზე დამატებითი ღონისძიებების განხორციელება.**
5. **ქ. ონში საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების რეაბილიტაცია (VI) ეტაპი.**

6. ქ. ონში სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაცია (IV) ეტაპი
7. სოფ საკაო, ლაგვანთა, მაჟიეთში და ხიდეშლებში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ასფალტო ბეტონი 2 ეტაპი).
8. სოფ პიპილეთი-ჟაშქვის გზის რეაბილიტაცია (ბეტონის საფარის მოწყობა II ეტაპი).
9. სოფ ზუდალი- სევის გზის რეაბილიტაცია.
10. სოფელ კვაშხიეთში სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია.
11. სოფელ ლაგვანთაში საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა.
12. სოფელ ლაგვანთაში მდინარე საკაურაზე არსებული ხიდის მიმდებარედ რკინა ბეტონის ნაპირსამაგრის და სანიაღვრე სისტემის მოწყობა.
13. ონის მუნიციპალიტეტის სოფლების: საკაო, ლაგვანთა, მაჟიეთსა და ხიდეშლებში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ასფალტო - ბეტონის საფარი) (III ეტაპი).
14. სოფელ სევის გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი) (I ეტაპი).
15. სოფელ ფარახეთში გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი) (I ეტაპი).
16. სოფელ კომანდლის გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი) (Iეტაპი).
17. სოფ გლოლაში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია.
18. ქ. ონში საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სარეკონსტრუქციო სამუშაოები.
19. ქ. ონში საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა (VII ეტაპი).

მთის ფონდის დაფინანსებით ქალაქ ონში განხორციელდა

20. საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების რეაბილიტაცია (VI) ეტაპი (დემეტრე II ვახტანგ VI და მინდელის ქუჩები)

ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელებული პროექტებია:

1. სოფელ მრავალძალში წმ. გიორგის ეკლესიის დამხმარე შენობა- ნაგებობის რეაბილიტაცია.
2. ონის მუნიციპალიტეტის სოფელ მრავალძალში სარიტუალო (საქორწილო) ღია გადმოსახედის მოწყობა.
3. ქალაქ ონში ვახტანგ VI-ის ქუჩაზე გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების, ტრენაჟორებისათვის საჩრდილობელი ფანჩატურის მონტაჟი და მოედნის მოწყობა (ერთი კომპლექტი).
4. ონის მუნიციპალიტეტის სოფელ შეუბანში რკინა-ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა.
5. ონის მუნიციპალიტეტის სოფელ მაჟიეთში შიდა საუბნო გზის (ჭელიაანთ უბანი) სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.
6. ქ. ონში დემეტრე II-ს მოედანზე მდებარე საზოგადოებრივი სველი წერტილების რეაბილიტაცია.
7. ქ. ონში, ყოფილი საავადმყოფოს შენობაში, ჯანდაცვის ცენტრის ოთახის რეაბილიტაცია.
8. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების წლიური მომსახურება.
9. ადგილობივი მნიშვნელობის გზების თოვლისაგან და მეწყრისაგან წმენდის მომსახურების შესყიდვა.
10. ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ლაჩთა-შეუბნის სასმელი წყლის შიდა სისტემების რეაბილიტაცია.
11. ქ. ონში სააკაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია.
12. სოფელ მრავალძალში სოფლის ცენტრში არსებული სკვერის რეაბილიტაცია.
13. მერიის შენობის შიდა სარემონტო სამუშაოები.

14. სოფელ ხირხონისში (ქვედა უბანი) ნაპირსამაგრი კედლისა და სანიაღვრე სისტემის მოწყობა.
15. სოფელ შეუბნის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში ფერდის დამცავი კედლის მოაჯირისა და ტერიტორიის მოსწორების სამუშაოები.
16. სოფელ ჭიორაში (ქვედა უბანი) სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია.
17. ქ.ონში გივი დგვარელის ქუჩაზე ნაპირსამაგრი კედლისა და სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები.
18. ქ. ონის შიდა ქუჩების ასფალტის საფარის დაზიანებული მონაკვეთების ორმული შეკეთების სამუშაოები
19. ქ. ონში ადგილ სორტუანზე ღია საცურაო აუზის მოწყობის სამუშაოები.
20. ქ. ონში ამხანაგობა „აფხაზეთის“ კორპუსის სარემონტო სამუშაოები.
21. ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაკიეთში წყალსადენი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
22. ქალაქ ონში გივი დგვარელის ქუჩის II შესახვევში წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები.
23. სოფელ მაჟიეთში (ბერუკაანთ ღელე) დაზიანებული შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
24. სოფელ ცხმორში წყალსადენი სისტემის მოწყობის სამუშაოები.
25. სოფელ ნიგვზნარაში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები.
26. ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პიპილეთში შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
27. სოფელ კომანდელში შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
28. სოფელ ზემო ბარში(კერვალიშვილების უბანი)წყალსადენი სისტემის მოწყობის სამუშაოები.
29. სოფელ გლოლაში დაზიანებული შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
30. სოფელ ნიგვზნარაში ამბულატორიის შენობაზე დრენაჟის მოწყობის სამუშაოები.
31. სოფელ შუბანში საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები.
32. ქ. ონში სხირტლაძის და მოედნის ქუჩაზე სანიაღვრე არხის და ყაზბეგის, ლებანიძის, ჩაჩაშვილისქუჩებზე წყალარინების ქსელის სამუშაოები.
33. სოფ. წედისში კონსტანტინე მაისურაძის ეზოში სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები.
34. სოფელ სორში (ქვემო სორი, კერვალიშვილების უბანი) სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები
35. ქ. ონში ირინე სხირტლაძის და მოედნის ქუჩაზე სანიაღვრე არხის და ყაზბეგის,ლებანიძის ჩაჩაშვილის ქუჩებზე წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები.
36. ქ. ონში ამხანაგობა „არნო ონელის 6 “ კორპუსის სარემონტო სამუშაოები.

- განხორციელდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა

1. სოფლებში: წმენდაური (3კმ), წოლა (3კმ), ლაგვანთა (1კმ), უწერა (5კმ) ახალი ჩორდი –ქვემო სევის შეერთებით (5კმ), გომი - ჯინჭვისი (8 კმ) და ზედა შარდომეთი (5კმ) საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება თანმდევი ექსპერტირებით.
2. ქ. ონში (ვახტანგ VI, დავით აღმაშენებლის და მურმან ლებანიძის ქუჩები, მდ. რიონის მარცხენა სანაპირო) და ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში: უწერა ლაგვანთასა და წმენდაურში წყალარინების სისტემების მოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურება თანმდევი ექსპერტირებით.
3. სოფლებში: ფარახეთის (კახეთელიძეების უბნის გათვალისწინებით) (7კმ), კომანდელი - ხირხონისი - ქორთა - ქრისტესი - სხიერის (15კმ), ზუდლის მენაბდეების უბანის (1კმ), ჭალის (2კმ) და შეუბნის (3კმ) გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა თანმდევი ექსპერტირებით.

4. სოფლების: მრავალძალი - შქმერის დამაკავშირებელი და სოფელ ჯოისუბნის მისასვლელი საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა თანმდევი ექსპერტირებით.
5. ქ. ონის საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცეების: ვახტანგ VI -ს, ზურაბ ქაფიანიძის, ბარათაშვილის, ლებანიძის ქუჩები (რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას, მინდელის და მაგრაქველიძის ქუჩების მიერთებების გათვალისწინებით) ღობეების, საფეხმავლო ბილიკების, გამწვანების ზოლის, ბორდიურების, ლამპიონების, დეკორატიული განათებების და ფასადების კეთილმოწყობის სამუშაოებთან დაკავშირებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა თანმდევი ექსპერტირებით.
6. ქალაქ ონში (ს/კ 88.18.24.086, 88.18.24.087, 88.18.24.074), აგრარული ბაზრის მშენებლობისათვის დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა თანმდევი ექსპერტირებით.

სკოლები

განხორციელდა სოფლების: შეუბნისა და გლოლის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

დასრულდა და მიმდინარეობის პროცესშია სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენის სხვადასხვა სახის სამუშაოები:

1. სოფელ ლაგვანთაში მდინარე საკაურაზე 2020 წლის 28-29 ივლისს მოსული ძლიერი წვიმის შედეგად დაზიანებული სახიდე გადასასვლელი მშენებლობა.
2. ქ. ონში მდ. რიონის სახიდე გადასასვლელის ორივე ნაპირზე და სოფ. უწერაში მინერალურ წყალ „გვერიოთასთან“ მისასვლელი ბილიკის გამაგრების და ნაპირსამაგრი სამუშაოები.
3. ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ხურუთში ბეტონის სანიაღვრე არხების, კედლების და ცემენტბეტონის საფარის მოწყობა.
4. სოფელ პატარა ღებში დაზიანებული შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.
5. ქ. ონში მდ. რიონის კალაპოტის ფორმირებისა და სახიდე გადასასვლელის ორივე ნაპირზე ნაპირსამაგრი სამუშაოები
6. სოფელ ზუდალში მენაბდეების უბნის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
7. სოფელ შარდომეთში საავტომობილო გზის და ნაპირსამაგრის მოწყობა-რეაბილიტაცია.
8. სოფელ კვაშხიეთში საავტომობილო გზისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი).
9. სოფელ ფარახეთის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები
10. სოფელ სევაში შიდა საუბნო გრუნტის გზის, სანიაღვრე სისტემების და ნაპირსამაგრი რ/ბ კედლის მოწყობა რეაბილიტაციის სამუშაოები
11. სოფელ ჯინჭვისში მდ. გომბრულას კალაპოტის ფორმირება და დაზიანებული ნაპირსამაგრის შეკეთება.

12. სოფელ ღარში მდ. ღარულაზე დაზიანებული ნაპირსამაგრის და სანიღვრე სისტემების რეაბილიტაცია.
13. სოფელ ღარში მდ. ღარულაზე დაზიანებული სამი სახიდე გადასასვლელის რეაბილიტაცია.
14. სოფელ ლაგვანთაში მდინარე საკაურაზე არსებული ხიდის მიმდებარედ რკინა ბეტონის ნაპირსამაგრის და სანიაღვრე სისტემის მოწყობა.
15. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიების განხორციელება (სოფელ ღებში მდინარე რიონის კალაპოტის ფორმირება და ნაპირსამაგრის მოწყობა, დაზიანებული გზის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები)

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით დაფინასებული პროექტებია:

1. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ქ. ონში და სოფლებში: გლოლაში, ჭიორაში და კურორტ შოვში(2) მინერალური წყლების რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოები.
2. ქ. ონში, ბეერ-შევას სახელობის პარკში საჭიდაო დარბაზის მშენებლობა.
3. სახაზოს მთასთან ტურისტული ბილიკების და საკემპინგე ადგილების მოწყობა და სოფ ღარში საჯვარემდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

1. მისასვლელი და შიდა გზების რეაბილიტაცია - 20 სოფელში;
2. წყალსადენი სისტემების რეაბილიტაცია - 21 სოფელში;
3. სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია - 10 სოფელში;
4. სპორტული ინფრასტრუქტურის (მოედნების) მოწყობა -9 სოფელში;
5. გარე განათების მოწყობა - 8 სოფელში;
6. სკვერების და სველი წერტილების მოწყობა - 6 სოფელში;
7. სასაფლაოს შემოღობვა - 4 სოფელში.

❖ სამოქალაქო მშენებლობის მიმართულებით:

გაიცა 35 მშენებლობის ნებართვა, 14 ობიექტის მშენებლობის თანხმობა, ექსპლუტაციაში იქნა მიღებული 9 დასრულებული ობიექტი. ასევე, მოხდა 17 ლოკაციაზე ელექტრო გადამცემი ხაზის მშენებლობის შეთანხმება.

2023 წელს იგეგმება შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება:

1. ონის მუნიციპალიტეტის სოფლების: საკაო, ლაგვანთა, მაჟიეთსა და ხიდეშლებში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ასფალტო- ბეტონის საფარი) (IVეტაპი).
2. სოფელ სევის გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი) (II ეტაპი).

3. სოფელ უწერის წყალარინების სისტემის მოწყობა .
4. სოფელ წმენდაურის წყალარინების სისტემის მოწყობა.
5. ქ. ონში საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა (VIII ეტაპი).
6. სოფელ ფარახეთში გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი) (II ეტაპი).
7. სოფელ კომანდლის გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი) (II ეტაპი).
8. სოფელ ლაგვანთაში გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონის საფარი) .
9. სოფელ გომი-ჯინჭვისის გზის რეაბილიტაცია (ცემენტ-ბეტონის საფარი) (I ეტაპი).
10. პიპილეთი-ჟაშქვის გზის რეაბილიტაცია (ცემენტ-ბეტონის საფარი)(III ეტაპი).
11. ღვინიას წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია, რომელიც უზრუნველყოფს სოფლების: სევა, ფარახეთი, შარდომეთი, ახალი ჩორდი, კვაშხიეთი, ზუდალი, ხეითის წყალმომარაგებას.

ჩვენთვის პრიორიტეტია მომავალი თაობისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა, ამიტომ მომავალი წლისათვის დაგეგმილია:

12. ქ. ონის საბავშვო ბაღის ეზოს რეაბილიტაცია.
13. ქ. ონში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაცია.
14. სოფელ ჯინჭვისის საბავშვო ბაღის მშენებლობა.
15. სოფელ გლოლის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა.

- ეკონომიკის სამსახური

ეკონომიკის სამსახური ორიენტირებულია ინვესტიციების მოზიდვაზე. 2021 წელს მუნიციპალიტეტმა მონაწილეობა მიიღო **M4EG-ს** ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში და გაიმარჯვა პროექტში - **ონის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ბიზნეს კლასტერების შექმნისა და ინვესტიციების მოზიდვის გზით.** აღნიშნული პროექტის ღირებულება შეადგენს - **350 291 ევროს.** პროექტი მიმდინარე წელს დაიწყო. შეიქმნა 2 ბიზნეს კლასტერი (ტურიზმისა და კვების მრეწველობის) თითოეულში გაწევრიანებულია 15 წევრი (მცირე და საშუალო მეწარმე). პროექტი პირდაპირ სარგებელს მოუტანს მცირე და საშუალო საწარმოებს, გაიზრდება კონკურენტუნარიანობა, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები და მოხდება ინვესტიციების ზრდა, რაც გააუმჯობესებს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

2021 წელს **ონის მუნიციპალიტეტსა** და **დანიის** არქიტექტურისა და დიზაინის სამეფო აკადემიას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. 2022 აპრილისა და სექტემბრის თვეში გაიმართა საგაზაფხულო და საშემოდგომო სკოლა, რომლის ფარგლებშიც დანიელი და ქართველი სტუდენტები ჩართულნი იყვნენ საგანმანათლებლო აქტივობებში. პროექტრის ფარგლებში, თავისუფალი უნივერსიტეტის, დანიის სამეფო აკადემიისა და ონის სადურგლო სკოლის სტუდენტებმა ორი კვირის განმავლობაში შეისწავლეს ტრადიციული ოდა სახლების არქიტექტურა, დიზაინი და სამშენებლო მეთოდები.

Oni Hub-in პროექტის მიზანია, ტრადიციული სამშენებლო სექტორის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, რომელიც რაჭის რესურსების ათვისებას და რეგიონში პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბებას მოისაზრებს. პროექტი ხორციელდება The New Democracy Fund-ის

დაფინანსებით და მიზნად ისახავს დემოკრატიული პრინციპებით, გენდერულ თანასწორებაზე დაფუძნებული ტრადიციული სამშენებლო კულტურის პოპულარიზაციას, რაც რეგიონის განვიარებას შეუწყობს ხელს.

სლოვაკეთის საერთაშორისო დახმარების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში ონის მუნიციპალიტეტმა წარადგინა განაცხადი და გაიმარჯვა პროექტებით:

1. **„საცოცი კედლის მოწყობა ონისთვის“,** რომლის ფარგლებშიც იგეგმება „ბეერ-შევას“ პარკში არსებულ სპორტ კომპლექსში საცოცი კედელის მოწყობა. გრანტის მოცულობამ შეადგინა 10 000 ევრო.

2. **„ფეხბურთის მინი სტადიონის აშენება/რეკონსტრუქცია ონისთვის“,** ახალგაზრდების საჭიროებებიდან გამომდინარე, მათთვის მულტიფუნქციური სპორტული სივრცის შესაქმნელად პროექტის ფარგლებში იგეგმება **„ბეერ-შევას“** პარკში არსებულ სპორტ კომპლექსში საფეხბურთო მინი სტადიონის აშენება/რეკონსტრუქცია, აღნიშნული გრანტის მოცულობიდან გამომდინარე სლოვაკეთის საერთაშორისო დახმარების სააგენტო დააფინანსებს სამშენებლო სამუშაოების გარკვეულ ნაწილს. გრანტის მოცულობამ შეადგინა **10 000 ევრო.**

აღნიშნული პროექტების მიზანია: მოახდინოს ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისება მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში და ხელი შეუწყოს სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

ონის მუნიციპალიტეტის მერია თანამშრომლობს ჩეხეთის რესპუბლიკა **კარიტასი** საქართველოში, რომელმაც მონაწილეობა მიიღო SlovakAid-ის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში პროექტით - ჩამდინარე წყლების მართვის საპილოტე გადაწყვეტილებები საქართველოში, რომლის ფარგლებშიც ონის მუნიციპალიტეტს გადმოეცემა (მარტში) **60 000 ევროს** ღირებულების 4 000 ლიტრის ავზის მოცულობის ასანიზაციის მანქანა.

მიმდინარე წლის აპრილის თვეში ონის მუნიციპალიტეტი შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას **„მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისათვის“.** აღნიშნული ინიციატივის ვალდებულებას წარმოადგენს 2030 წლისათვის, მინიმუმ 30%-ით შეამციროს CO_2-ის (და სხვა სათბური აირების) ემისია საკუთარი ტერიტორიიდან, ენერგოეფექტურობისა და ენერგიის განახლებადი წყაროების ათვისების ღონისძიებების საშუალებით.

მუნიციპალიტეტები რომლებიც მიერთებულნ იარიან ევროკავშირის „მერების შეთანხმების“ ინიციატივას ერთ-ერთ ვალდებულებას წარმოადგენს **<u>მდგრადი ენერგეტიკის დღეების</u>** ორგანიზება რომლის, მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება და მათი ჩართვა განახლებადი ენერგეტიკისა და ენერგოეფექტურიტექნოლოგიების პოპულარიზაციაში. ამ მიზნით 29-30 სექტემბერს ონის მუნიციპალიტეტში მოეწყო სხვადასხვა აქტიობა, რომელიც მიმართული იყო განახლებად იენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის საკითხების პოპულარიზაციისა და თანამოქალაქეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

მიმდინარე წლის 14 ივნისს ონის მუნიციპალიტეტის მერიასა და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელს (**CENN**) შორის, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის - საქართველოს კლიმატის პროგრამა (**GEO – CAP**) ფარგლებში გაფორმდა თანამშრომლობის შესახებ

ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც სოფ. **სამთისში** მოეწყო სასმელი წყლის სამარაგო რეზერვუარები. რომლის ღირებულება შეადგენს 21 000 ლარს.

მიმდინარე წლის 6 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება და სს „საჩხერის რაიონულ საავადმყოფო - პოლიკლინიკურ გაერთიანებას“ სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ 2 წლის ვადით გადაეცა ქ. ონში **ჩაჩაშვილის ქ. N99-ში** მდებარე უძრავი ქონება იმ სამედიცინო სერვისების მისაწოდებლად, რაც ონის მუნიციპალიტეტში არ არის ხელმისაწვდომი.

საქართველოს **მთავრობის განკარგულებით 16 ოჯახს** სიმბოლურ ფასად 1 ლარად საკუთრებაში გადაეცათ წლების განმავლობაში დაუკანონებელი **ბინები.**

მერის ბრძანების საფუძველზე ელექტრონული **აუქციონის** საშუალებით მოხდა ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 8 ერთეული ჩამოწერილი ტექნიკის (3 ტრაქტორი, 3 ავტობუსი, 1 ნივა და 1 ვაზ-66) პრივატიზება. შემოსულმა თანხამ შეადგინა 22 669,5 ლარი.

ეკონომიკის სამსახური ორიენტირებულია მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე, ამ მიზნით მიმდინარეობს მუშაობა **გაეროს მდგრადი განივითარების მიზნების განხორციელების პროცესში, სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და ეროვნული დოკუმენტის ანალოგიის - ლოკალური დოკუმენტის შექმნაზე.** ასევე მუშაობა მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის **ნარჩენების მართვის გეგმასა** და ონის მუნიციპალიტეტისტერიტორიაზე **საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმაზე.**

სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით, ააიპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს გადაეცა ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4 ამბულატორია და 3 მიწის ნაკვეთი ამბულატორიების ასაშენებლად.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა სოფელ ღებში 2 ხიდის მშენებლობა (მდ. ჩვეშოსა და დიდსა და პატარა ღებს შორის დამაკავშირებელი), რომლის ღირებულებამ შეადგინა 3 180 000 ლარი.

- **ზედამხედველობის სამსახური**

  2022 წლის საანგარიშო პერიოდში სამსახური ახორციელებს დებულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებას, კერძოდ ტექნიკურ ზედამხედველობას უწევს ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას, რომელთა ღირებულება არ აღემატება 50000 ლარს, ასევე ეწევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქმისწარმოებას.

- საანგარიშო პერიოდში ზედამხედველობის სამსახურმა ტექნიკური ზედამხედველობა გაუწია ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებულ 36 პროექტს, საერთო ღირებულებით 888 837 ლარი. (წყლის სიტემების რეაბილიტაცია, შიდა გზების რეაბილიტაცია, სკვერების მოწყობა, ტრენაჟორების მოწყობა, სანიაღვრე არხების მოწყობა, სიჩქარის შემზღუდველების მოწყობა, გარეგანათების წერტილების დამატება)
- ასევე ტექნიკური ზედამხედველობა გაეწია სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელებულ 71 პროექტს ჯამური ღირებულებით-767 400 ლარი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროექტების შესრულების ხარისხს და ვადებს. მუდმივად ხდება მეწარმეების

სიტყვიერი და წერილობითი გაფრთხილება ხარისხთან და ვადებთან დაკავშირებით, რამდენიმე მეწარმე დაჯარიმდა შესაბამისი თანხით პროექტის ვადაგადაცილებით დასრულების გამო. სამ მეწარმეს ცალმხრივად შეუწყდა ხელშეკრულება, სამუშაოების არაჯეროვანი შესრულების გამო.

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილისმიხედვით
  (წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნა) 50 ლარით დაჯარიმდა 3 მოქალაქე.
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისი 153-3 პიველი პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ნებართვის გარეშე გარე ვაჭრობისათვის დაჯარიმდა 5 მოქალაქე.
- პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 43-ე მუხლის გ) პუნქტის შესაბამისად უნებართვო მშენებლობის წარმოებისთვის დაჯარიმდა ერთი მოქალაქე,
- პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 45-ე მუხლის დ) პუნქტის შესაბამისად სანებართვო პირობების დარღვევისათვის დაჯარიმდა ერთი მოქალაქე,
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 152-1-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ტერიტორიის დაზიანებისათვის (ასფალტის გადაჭრა) დაჯარიმდა ერთი მოქალაქე.

- **ადმინისტრაციული სამსახური**

2022 წელს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია 3923 კორესპოდენცია - უმრავლესობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მიერ შემოტანილ მოხსენებით ბარათებს, რომელთა საფუძველზეც გაცემულია ცნობები: სანოტარო ბიუროში , ენერგო პრო ჯორჯიასა და სოკარ ჯორჯია გაზში წარსადგენად, აგრეთვე, გაიცემა ცნობები საცხოვრებელი ადგილის შესახებ და ა.შ.

მოქალაქეების განცხადებები ძირითადად ეხება სოციალური დახმარების საკითხს და მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სახლების აღდგენის მოთხოვნას. მერიიდან გასულია - 2038 კორესპოდენცია მოქალაქეებსა და სხვადასხვა ინსტანციებში. დამუშავდა საკრებულოს, მერიის და მის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების 2013-2017 წლების საარქივო დოკუმენტაცია და გაგზავნილია ქ. ქუთაისიის ცენტრალურ არქივში. რაც შეეხება MMS-სისტემას, სულ შემოსულია 467 განცხადება სოციალურ დახმარებებზე, დასრულებულია დადებითად 457 ხოლო დარჩენილზე მიმდინარეობს მუშაობა.

მიმდინარეობს ონის მუნიციპალიტეტის ვებ.გვერდის განახლებისთვის საჭირო ტექნიკური დავალებების შემუშავება, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის გაზრდას ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის შესაბამისად.

,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 2022 წელის იანვარში გაზრდილი თანამდებობრივი სარგოებით დამტკიცდა ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა“.

ონის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელდა რეორგანიზაცია, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა დაწესებულების ახალი სტრუქტურა, კერძოდ ჩამოყალიბდა მერიის ერთი ახალი პირველადი სტრუქტურული ერთეული - იურიდიული სამსახური და სამი მეორადი სტრუქტურული ერთეული: ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და შიდა კონტროლის და მონიტორინგის განყოფილებები.

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის მეშვეობით (www.hr.gov.ge) გამოცხადდა 21 ვაკანტურ პოზიციაზე საჯარო კონკურსი, მათ შორის მენეჯერულ პოზიციაზე ექვსი კონკურსი. 15 პოზიციაზე შერჩეული იქნა კანდიდატი. ჩაიშალა 3 კონკურსი. ამჟამად, კონკურსი მიმდინარეობს სამ ვაკანტურ თანამდებობაზე.

ადამიანური რესურსების მართვისა და საინფორმაციო განყოფილება 2022 წლის განმავლობაში მონაწილეობას იღებდა GIZ-ის პროფესიული განვითარების პროექტში - ,,სამუშაოს შეფასებაზე დაფუძნებული თანამედროვე პროფესიული განვითარების მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა აჭარის, გურიის და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონების 11 მუნიციპალიტეტში“

საჯარო სამსახურის ბიუროს და საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურის მხარდაჭერით მიმდინარეობს **eHRMS - ადამიანურირესურსებისმართვისელექტრონულისისტემის** განახლების პროცესი. სისტემა წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით საჯარო სექტორში დასაქმებულთა ადამიანური რესურსების ერთიან მონაცემთა ბაზას. მისი მიზანია ადამიანურირესურსებისელექტრონულიმართვისუზრუნველყოფაშემუშავებულიპოლიტიკისადასტანდა რტებისგათვალისწინებით.

„ონის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელის შეფასების მეთოდის, დოკუმენტური მასალის შეფასებისა და გასაუბრების წესის“ საფუძველზე, განხორციელდა თანამშრომელთა შუალედური შეფასება.

დაიდო 3 ადმინისტრაციული ხელშეკრულება და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით 64 შეთანხმება. ასევე, გაფორმდა 16 შრომითი ხელშეკრულება.

წლის განმავლობაში მოამზადდ ა ონის მუნიციპალიტეტის მერის 597 საკადრო სამართლებრივი აქტი.

მიმდინარე წლის განმავლობაში ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მიერ, ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა ინფორმაციის მოწოდება, როგორც პრობლემების, ასევე დაგეგმილი და განხორციელებული სამუშაოების შესახებ.

ჩვენის მხრიდან, მერისწარმომადგენლებს მაქსიმალური მხარდაჭერა ჰქონდათ რათა მათისაქმიანობა ყოფილიყო უფრო ეფექტიანი და გამჭირვალე.

მიმდინარე წლის განმავლობაში, მერის წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, პირის გარდაცვალების ფაქტის დადსტურების შესახებ შესაბამისი უწყებას მიწოდებული აქვს 10 ოქმი.

ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფისთვის ონის მუდმივად მცხოვრებ 917 პირზე/ოჯახზე გაიცა 218 510 ლარი

დაფინანსების თანხა პროგრამების მიხედვით გაიცა შემდეგნაირად:

ონის მუნიციპალიტეტისსაკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N19 დადგენილებითდამტკიცებული,,**ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ**",პროგრამიდან 2022 წლის 1 იანვრიდან 01 ნოემბრამდე ფინანსური ფულადი დახმარება გაეწია ონში რეგისტრირებულ მუდმივად მცხოვრებ **626 პირს/ოჯახს** ჯამში **160 310**ლარის ოდენობით.

- **ავადმყოფთა სოციალური დაცვის მუხლიდან 192 ბენეფიციარზე გაიცა 94 271 ლარი;**

ავადმყოფთა დასახმარებლად სამედიცინო-დიაგნოსტიკურ კვლევებზე, სტაციონარულ მედიკამენტურ და ქირურგიულ მკურნალობაზე,**171** მოქალაქეზე გაიცა ერთჯერადი ფულადი დახმარება ჯამში -**87 187** ლარი.

ჰემოდიალიზის კომპონენტის **5** მოსარგებლეზე გაიცა **4800** ლარი (თითოეულზე თვეში 150 ლარი).

უფასო მედიკამენტების უზრუნველყოფის მუხლიდან ერთჯერადი ფულადი დახმარება გაიცა **16** ონკოლოგიურ ავადმყოფზე, ჯამში **2 284** ლარი (თითოეულზე 150 ლარის ოდენობით).

- **არასაპენსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებო საჭიროების მქონეპირთა დახმარების მუხლიდანფულადი დახმარება გაიცა 46 ბენეფიციარზე 12 800 ლარი.**

არასაპენსიო ასაკის 41 შშმპირზეგაიცა12 300 ლარი (თითოეულზე 300 ლარი).

1 ივნისსბავშვთადაცვისსაერთაშორისოდღესთანდაკავშირებით18 წლამდე შშმ და სსსმ პირ 5 ბავშვზე გაიცა 500 ლარი (თითოეულზე 100 ლარი).

- **მრავალშვილიანიოჯახებისა და ბავშვების შეძენასთან დაკავშირებით 95ოჯახზე გაიცა 24 150 ლარი.**

26 ახალშობილ ბავშვზე და 10 მეორე ბავშვზე გაიცა ერთჯერადი ფულად დახმარება **9 600 ლარის** ოდენობით:

16 ახალშობილ ბავშვზე გაიცა 5 600 ლარი. (თითოეულზე 350 ლარი)
10 ახალშობილ ბავშვზე და მეორე შვილზე გაიცა 4000 ლარი. (თითოეულზე 400 ლარი)
69 (სამი და მეტი შვილი)**მრავალშვილიან ოჯახზე გაიცა14 550 ლარი:**

სამ შვილიან 56 ოჯახზე გაიცა 11 200 ლარი (თითოეულ ოჯახზე 200 ლარი);

ოთხ შვილიან 12 (თორმეტი) ოჯახზე გაიცა 3000 ლარი (თითოეულ ოჯახზე 250 ლარი);

ექვს შვილიან 1 (ერთი) ოჯახზე გაიცა 350 ლარი;

- **მარჩენალდაკარგულ, ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ** 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე ერთჯერადი ფულადი დახმარება **4 400ლარი**გაიცა შემდეგნაირად;
24 ოჯახზე (44 ბავშვზე) სასწავლო წლის დაწყებისას გაიცა 4400 ლარი (თითოეულ ბავშვზე 100 ლარი);

- **უსახლკარო, სოციალურადდაუცველიოჯახებისსაცხოვრებელიბინის ყოველთვიური ქირით** უზრუნველსაყოფად, ბინის ქირის საფასური გაიცა 5 ოჯახზე, თვეში 150 ლარი: ჯამში - **6 000**ლარი.

- **გარდაცვლილიომის ვეტერანთა სარიტუალო ხარჯებისთვისერთჯერადი ფულადი დახმარება** გაიცა - ომის ვეტერანის **2 ოჯახზე 500** ლარის ოდენობით.
(თითოეულზე 250 ლარი)

- **ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 3 ხანდაზმულ მოქალაქეზე (100 წლის და მეტი ასაკის)ერთჯერადი ფულადი დახმარებაგაიცა 1500** ლარი. (თითოეულზე 500 ლარი)

- **ხანძრისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების მუხლიდა** 5 ოჯახზე გაიცა **14 000** ლარი.

- **ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანების, საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირთა და ბრძოლის დროს დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარების მუხლიდან 15 პირზე გაიცა ჯამში 1 600 ლარი:**

9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მეორე მსოფლიო ომის 1 ვეტერანზე გაიცა ფულადი დახმარება 200 ლარი;

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღესასწაულთან დაკავშირებით,საქართველოსტერიტორიულიერთიანობისათვისბრძოლაშიდაინვალიდებულპირთადაბ რძოლისდროსდაღუპულ მეომართა, 6 ვეტერანის ოჯახზე (თითოეულ ოჯახზე) გაიცა ერთჯერადი ფულადი შემწეობა 600 ლარი (თითოეულზე 100 ლარი);

17 ოქტომბერს ვეტერანის დღესთან დაკავშირებით 8 (რვა) სოციალურად დაუცველ ომის ვეტერანზე გაიცა ფულადი დახმარება (თითოეულზე 100 ლარი) **800** ლარი;

- **არასაპენსიო ასაკის შშმპირების მათ შორის ბავშვების, ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ომის ვეტერანთა, აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილთა ოჯახებზე,** დასუფთავების მოსაკრებლი დაიფარა ადგილობრივი ბიუჯეტიდან, **წყლის გადასახადზე დახმარება გაიცა (ოჯახზე) 219 - 1 089 ლარი.**

- **გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში“** ონის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში / გლოლა, გომი, ღარი, წედისი, სხანარი, ირი, ქვედი / დაზარალებული მუდმივად მცხოვრებ **291 ოჯახს** 2021-2022 წელს ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის მიზნით ჩაერიცხათ **58 200** ლარი (თითოეულ ოჯახს 200 ლარი).

მთის მომსახურება

2022 წელს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის თაობაზე შემოსულია 610 განცხადება.

- **სტატუსის მინიჭებაზე მიღებულია - 174 განცხადება.**

სტატუსი მიენიჭა 144მოქალაქეს;
უარი ეთქვა2 მოქალაქეს;
კომისიაზე განსახილველია 28 განცხადება;

- **საჯარო რეესტრიდან მიღებულია - 153 შეტყობინება სტატუსის შეწყვეტის შესახებ**;

გარდაცვალების გამო სტატუსის შეუწყდა 146 პირს;
რეგისტრაციისცვლილების გამო სტატუსის შეუწყდა 7 მოქალაქეს;

- **მთის სტატუსის ცნობის გაცემის შესახებ შემოსულია 283 განცხადება;**

სტატუსის შესახებ გაიცა 279 ცნობა;

განხილვის გარეშე შეწყდა 3 განაცხადი;

2022 წელს ჩვენს რაიონში აღირიცხა კორონავირუსული ინფექციის 1203 დადასტურებული შემთხვევა. ჩატარდა 2114 სწრაფი ტესტირება ანტიგენით, 146 PCR-ტესტირება და 17 კომერციული PCR-ტესტირება. კვლევები ჩატარდა როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში, ონში, ასევე იყო გასვლები ბინებზე. მნიშვნელოვნად მოიკლო Covid-19-ის საწ. პროფილაქტიკური აცრების რაოდენობამ, რომელიც ხორციელდება ონის საავადმყოფოში. აცრები ტარდებოდა შეუფერხებლად სამი ტიპის ვაქცინით– სინოფარმი, სინოვაკი, ფაიზერი. ჯანდაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად აუცილებელი იყო ლაბორატორიული საქმიანობის ნებართვისთვის სათანადო სივრცის მოწყობა ტესტირებების ჩასატარებლად. ამისთვის გამოიყო ფართი სააავადმყოფოს ძველ შენობაში და ჩვენს მიერ მოეწყო ე.წ. ნიმუშის ასაღები სივრცე ასევე გაკეთდა ე.წ. სახიფათო ნარჩენებისთვის გამოყოფილი ფართი.

მიუხედავად არსებული ვითარებისა პარალელურად არ შეწყვეტილა სხვა პროგრამების განხორციელებაც. მაგ: „ც“ ჰეპატიტის მართვის პროგრამა –ჩატარდა სკრინინგი 74 („ცე“ და შიდსის ანტისხეულებზე), „მიდევნების“ პროგრამა–2 კონფირმაციული კვლევა. ტუბერკულოზის პროგრამა–

ჩატარდა 2 შემთხვევის კვლევა, ანტირაბიული პროგრამა–ჩატარდა 3 საეჭვო შემთხვევის კვლევა. რუტინულად მიმდინარეობს ბავშვთა პროფილაქტიკური აცრები.

იურიდიული სამსახური

2022 წელს ონის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულმა სამსახურმა:
უზრუნველყო სხავადასხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადება.
ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში წარადგინა 6 შესაგებელი აქედან დასრულდა ორი სასამართლო პროცესი ონის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ; ასევე ერთი საქმე ონის მაგისტრატ სასამართლოში შეწყვეტილ იქნა მოსარჩელის გარდაცვალების გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 2022 წელს მიმდინარეობდა 3 სასამართლო პროცესი, აქედან 2 პროცესი მერიის სასარგებლოდ დამთავრდა, ერთი პროცესი განხილვის ეტაპზეა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 2022 წელს შეტანილ იქნა სამი კერძო საჩივარი, სადაც წარდგენილი პოზიციის შედეგად ორი მერიის სასარგებლოდ გადაწყდა.

ამჟამად, ონის მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე მიმდინარეობს მუშაობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრი“-სა და „ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახური“-ს შექმნასთან დაკავშირებით.

სამხედრო მობილიზაციისა და გაწვევის სამსახურს2022 წლის1 იანვრიდან დღემდე:გეგმით უნდა გაეწვია 11 პიროვნება. აქედან 3 შსს-ში, 7 თავდაცვის სამინისტროში, 1 იუსტიციის სამინიტროში.

- სამხედრო საექსპერტო კომისიაზე სულ გადაყვანილია 26 პიროვნება.
- დღეის მდგომარეობით ჩარიცხულია სამი ახალგაზრდა, აქედან: 1 თავდაცვის სამინისტროში, 2 შსს-გასამხედროებულ ნაწილებში, 1 თავდაცვის სამინისტროში საკონტრაქტო სამსახურზე.
- ასევე შსს დაცვის პოლიციაში: 4 (გეგმის გარეშე).
- პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია: 27 .
- რეზერვში ჩარიცხულია: 33.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის სასამართლოზე გადაცემულია 6 პიროვნება.
- პოლიციაზე მოძებნისა და სამხედრო სამსახურში გამოცხადების თხოვნით გადაგზავნილია 44 პიროვნება.
- ამ პერიოდში გაცემულია 14 სააღრიცხვო მოწმობა (სამხედრო ბილეთი).
- წლის განმავლობაში მოიძებნა და მთხოვნელებს გადაეცათ ჩვენს არქივში დაცული სხვადასხვა ინფორმაცია.
- **განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახური**

განათლება:

სკოლები:

მუნიციპალიტეტში, სულ 9 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ფუნქციონირებს, მათ შორის 6 საშუალო და 3 საბაზო სკოლაა. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მიმდინარე სასწავლო წელს, 548 ბავშვი სწავლობს. გასულ წელს, ბავშვთა რაოდენობა 554 იყო. სკოლებში, ბავშვთა რაოდენობა იძლევა სრულ სურათს, მოსახლეობის მიგრაციასთან დაკავშირებით. მუნიციპალიტეტის მერიამ 18 მედალოსანი მოსწავლე დააჯილდოვა სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით. მერიის მიერ მოსწავლეთა სისტემატური მხარდაჭერა ადგილობრივ, რეგიონულ და ქვეყნის მასშტაბით გამართულ მასობრივ, სპორტულ და შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამართულობა, მუნიციპალიტეტის მერიის მუდმივი ყურადღების ქვეშაა, განსაკურებით კი, მას შემდეგ, რაც 2018 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მერიას შორის, გაფორმებულ იქნა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც მუდმივად იგეგმება სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის მონიტორინგი და რეაბილიტაცია. მიმდინარე წელს, მაგალითად, დაიგეგმა და განხორციელდა ორი საჯარო სკოლის კაპიტალური შეკეთება. ესენია, სოფელ შეუბნისა და გლოლის საჯარო სკოლები, რაზედაც შესაბამისად 48351 ლარი და 46999 ლარი დაიხარჯა. მსგავსი ინფრასტრუქტურული სამუშაოები მომავალშიც გაგრძელდება საჭიროების შესაბამისად. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორციელდება და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშაა მოსწავლეთა ტრანსპორტირების საკითხი.

სკოლამდელი განათლება

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა - ბაღი და სოფელ გლოლის საბავშვო ბაღი. ბაგა- ბაღების დაფინანსება 2022 წელს 362 000 ლარით განისაზღვრა, ხოლო 2021 წელს-314 000 ლარი იყო. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სულ აღრიცხულია სოფლად 7 წლამდე- 139, ქალაქ ონში 180 ბავშვი. სულ 319 სკოლამდელი ასაკის ბავშვი. აქედან, მთელ მუნიციპალიტეტში სკოლამდელ განათლებაში ჩართულია 160 ბავშვი. მუნიციპალიტეტი ემზადება, იმისათვის, რომ სკოლამდელმა დაწესებულებებმა წარმატებით გაიარონ ავტორიზაცია. ასე მაგალითად, 2023 წელს დაგეგმილია ყოფილი მეორე საბავშვო ბაგა- ბაღის ტერიტორიაზე ახალი, ტიპიური საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა120 ბავშვზე, რომელიც განტვირთავს მოქმედ ბაგა-ბაღს და ორივე ბაგა- ბაღს, უკვე შესაძლებლობა ექნება, გაიაროს ავტორიზაცია. დაგეგმილია, სოფელ ჯინჭვისში აშენდეს ტიპიური ბაღი, რომელიც მოემსახურება სოფლების, გომის, ჟინჭვისის, უწერის, ნაკიეთისა და ლაგვანთის აღსაზრდელებს. მუნიციპალიტეტისთვის უპირველესი პრიორიტეტი ბავშვია, ამაზე მეტყველებს აგრეთვე ის, რომ ერთი ბავშვის მომსახურების დაფინანსება ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა - ბაღში შეადგენს 2262.5 ლარს. (წლიური დაფინანსება 362000 ლარი, ბავშვთა რაოდენობა 160).

სასიხარულოა, რომ სოფელ გლოლაში, გვაქვს ტიპიური ერთჯგუფიანი საბავშვო ბაღი და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვები გადიან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განალების სახელმწიფო სტანდარტს. დაიგეგმა დეპარტამენტისა და მუნიციპალიტეტის ურთიერთთანამშრომლობა, სადაც აქტიურად იქნება ჩართული საერთაშორისო არსამთავრობო ორგანიზაციებიც. უკვე გადაგზავნილია მოთხოვნილი მასალა და პირველ ეტაპზე ბაგა-ბაღი მიიღებს საგანმანათლებლო რესურსს სასკოლო მზაობის ჯგუფების აღსაზრდელებისთვის.

მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა აღმზრდელთა გადამზადებას.„აღმზრდელ-პედაგოგთა სასერთიფიკაციო ტრენინგი“სათვის გაიხარჯა 4500 ლარია.

მუნიციპალიტეტში ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ არცერთი ბავშვი არ დარჩეს სკოლისათვის მოსამზადებელი სახელწიფო სტანდარტის გავლის გარეშე.

სკოლისგარეშე - საგანმანათლებლო დაწესებულებები

მერიის მიერ, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მოსწავლე- ახალგაზრდობისთვისარაფორმალურიგანათლების მიწოდება, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კარგად გვესმის, რომ ეს სასწავლო სააღმზრდელო გარემოიძლევაარამხოლოდ ცოდნას, არამედისეთუნარებს, როგორიცააკომუნიკაციის, გუნდურობის, შემოქმედებითადაზროვნებისუნარები.მუნიციპალიტეტში ბავშვთა არაფორმალურ განათლებას ემსახურება სამუსიკო და სამხატვრო სკოლები, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სამივე მათგანში არაფორმალურ განათლებაში სულ 277ბავშვია ჩართული.
სწორედ, ამის გამოა, რომ სკოლისგარეშე საგანმანათლებლო ორგანიზაციების დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება. ა(ა)იპ სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებები ცდილობენბავშვებისთვის შეთავაზებული სერვისები მაქსიმალურად დაუახლოვდეს ბავშვთა ინტერესების სრულად დაკმაყოფილებას. მაგალითად, სამუსიკო სკოლა, რომელიც იმყოფებოდა ბავშვებისათვის სრულიად შეუსაბამო, ავარიულ გარემოში, მუშაობას აგრძელებს კულტურის სახლის გარემონტებულ და კეთილმოწყობილ შენობაში.განხორციელდა და კიდევ იგეგმება ინსტრუმენტების განახლება. მოიმატა ბავშვთა რაოდენობამაც, რაც გარკვეულწილად იმედისმომცემია. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, მიმდინარე წელს, განსაკუთრებული ბავშვთა სიმრავლეა.173 მოსწავლე 10 საგნობრივ და შემოქმედებით წრეებშია ჩართული. ყურადღება დაეთმო დაფინანსებული ღონისძიებების გამართვას, რომლის მნიშვნელობა ძალიან დიდია. ასეთ აქტივობებზე ბავშვები ეჩვევიან საჯარო გამოსვლებს,სოციალურ გარემოში ადაპტაციას და სხვა.

სამხატვრო სკოლამ, საანგარიშო პერიოდში არაერთი გამოფენა მოაწყო, რაც ავლენს ჩვენი ბავშვების მრავალმხრივ ნიჭიერებას ფერწერაში, თექის დამუშავებაში, ხის მხატვრულ დამუშავებაში, ბატიკაში და სხვა. სკოლის მუდმივი ყურადღების ცენტრშია დაგეგმილი გამოფენების, პლენერზე გასვლის ჩატარების უზრუნველყოფა. სკოლა თანამშრომლობით ურთიერთობებშია რეგიონის სამხატვრო სკოლებთან.

კულტურა

მუნიციპალიტეტის მოსახლეობას კულტურულ მომსახურებას უწევს ა(ა)იპ გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლი. კულტურის სახლის სუბსიდია 167000 ლარია. საკუთარი შემოსავლების გეგმა -17000 ლარია. სულ 180 000 ლარი, რომლითაც მოხდა მუნიციპალიტეტის მთლიანი მოსახლეობისთვის გარკვეული კულტურული მომსახურების გაწევა.

მერიამ, მოსახლეობის უფრო მაღალპროფესიული კულტურული მომსახურების მიზნით, არაერთი ღონისძიება დააფინანსა საანგარიშო წლის მანძილზე. მაგალითად,გაიმართა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „კავკასია-2022“, რომლის დასაფინანსებლად 4919 ლარი იქნა გამოყოფილი. გაიმართა შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის სპექტაკლი. გაიმართა კომპოზიტორზაზა კილასონიას საავტორო საღამო, თანხით 3500 ლარი. ჩატარდა ანსამბლ „ თარიკონის“ კონცერტი, სახელშეკრულებო ღირებულება 8000 ლარი.

განსხვავებულ ფორმატში გაიმართა სახალხო დღესასწაული ,,ონელობა 2022“, რომელიც მუნიციპალიტეტმა მეთხუთმეტედ იზეიმა. დასკვნითი ღონისძიება მიეძღვნა ყველასთვის საყვარელი მომღერლის, ტრაგიკულად დაღუპული ზურა ბაკურაძის ხსოვნას. ამ დღეს, მუნიციპალიტეტმა სხვა

სტუმრებთან ერთად, უმასპინძლა ამბროლაურის, ცაგერის, და ლენტეხის მუნიციპალიტეტების შემოქმედებით კოლექტივებს. დღესასწაულის გალა კონცერტში - ,,შქმერის მთა გადმოვიარე...ზურა ბაკურაძე", მონაწილეობდა ანსამბლი ,,ქართული ხმები", ანსამბლი ,,რუსთავი", თატრალური კვარტეტი, აჩიკო ნიჟარაძე, ქეთი გაბისიანი, კახა მიქიაშვილი, ,,ალილო", სალომე ბაკურაძე, გიორგი სუხიტაშვილი, ,,ფორტე", ანუკი ცქვიტინიძე, გელა დონაძე, მარიკა ქაცარავა.

სწორედ „ონელობის" დღესასწაულზე გაიხსნა ზურა და გივი ბაკურაძეების სახელობითი ვარსკვლავი, აღდგენილ იქნა გიგა ჯაფარიძის, ზურაბ ქაფიანიძისა და შალვა ჯაფარიძის სახელობის ანსამბლი ,,რაჭა"-ს სახელობითი ვარსკვლავები.

2022 წელი გამოცხადებულია მურმან ლებანიძის წლად, რომელიც მისი დაბადებიდან 100 წლისთავს ეძღვნება. მთელი წლის განმავლობაში, საიუბილეო წლის ფარგლებში იმართებოდა ღონისძიებები წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით.

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ მომზადდა ორი პროექტი: 1. „ჩვენ ვკითხულობთ მურმან ლებანიძეს" და 2. „საუკეთესო კალიგრაფი და მურმან ლებანიძის პოეზია", სადაც ჩართული იყვნენ მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეები. ორივე კონკურსში გამარჯვებული 12 მოსწავლე, 26 ნოემბერს მურმან ლებანიძის საიუბილეო საღამოზე დაჯილდოვდება და გადაეცემათ მურმან ლებანიძის საიუბილეო ალბომი.

ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლმა 31 ოქტომბერს გამართა გასვლითი კონცერტი სოფელ ღებში. მადლიერი მოსახლეობის მაგალითის მიხედვით, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ასეთი გასვლა ჩვენი სოფლების მოსახლეობასთან, კულტურული მომსახურების მიზნით, აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

მოსახლეობისათვის გარკვეულ დადებითი განწყობის შექმნის მინიჭებას ემსახურება კარგად დაგეგმილი საახალწლო ღონისძიება.

ბიბლიოთეკა

მოსახლეობის წიგნით მომსახურებას ეწევა ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა და 17 სასოფლო ბიბლიოთეკა 62408 წიგნადი ფონდით. წიგნით მოსახლეობის მომსახურებისთვის მუნიციპალიტეტი 2022 წელს ხარჯავს 77000 ლარს. მკითველთა რაოდენობა მთლიანად მუნიციპალიტეტში 911-ია. მათზე სულ გაცემულია 2940 ეგზემპლარი წიგნი, ბროშურა და ჟურნალი.

იგეგმება და იმართება საინტერესო კულტურული და შემეცნებითი ღონისძიებები, სადაც მონაწილეობენ მკითხველთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები. ღონისძიებები იმართება ბიბლიოთეკის საუკეთესო გარემოში, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უზრუნველყოფს ღონისძიების მაღალ დონეზე გამართვას.

ჩატარდა წიგნადი ფონდების მთლიანი აღწერა, აღიწერა 62408 ეგზემპლარი წიგნი, ბროშურა და ჟურნალი.

მუზეუმი

სასიხარულოა, რომ დასრულდა რეგიონში საუკეთესო მუზეუმის, ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მშენებლობა. გადაწყვეტის პროცესშია სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შემდგომი ეტაპის გავლას გულისხმობს. დაწყებულია მუშაობა ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით, კერძოდ, ახალ მუზეუმში საექსპოზიციო სივრცეების მოწყობასთან დაკავშირებით, იწმინდება და მუშავდება ეკლესიებიდან მუზეუმში დაცული შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუშები. მიმდინარე წელს სოფელ პიპილეთში განხორციელებული ექსპედიციის დროს, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარედ, მუზეუმის თანამშრომლებმა მიაკვლიეს ძალიან მნიშვნელოვან არტეფაქტს -ამავე ეკლესიის მე-10 საუკუნის ქვის კანკელის ფილის კიდევ ერთ ფრაგმენტს, რომელიც უკვე გადმოტანილია მუზეუმში. ამ ნიმუშმა, კიდევ უფრო გაამდიდრა ამ პერიოდის ქართულ ქვაზე კვეთის ხელოვნება.

მუზეუმმა უმასპინძლა 1250 ვიზიტორს.

ახალგაზრდობასთან მუშაობა

ახალგაზრდობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელთაც მუნიციპალიტეტის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია. ისინი, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, ვცდილობთ აქტიურად ჩავრთოთ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მერიისათვის ახალგაზრდობასთან მუშაობის სამოქმედო დოკუმენტებს წარმოადგენს 2014 წელს, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“ და საქართველოს პარლამენტის 2020 წლის დადგენილება „2020- 2030 წლისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“, „ონის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგია“. სერიოზულადაა მხარდაჭერილი, მუნიციპალიტეტში უკვე მოქმედი, ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტი. საანგარიშო პერიოდში, მისი ყველა ინიციატივა მხარდაჭერილ იქნა. მაგალითად, განხორციელდა პროექტი „კინო ონში“, რომელიც დაფინანსდა 1500 ლარით, ასევე ჩატარდა სპორტული შეჯიბრი მაგიდის ჩოგბურთში, თანხით 500 ლარი.

მერიასთან შექმნილია და მოქმედებს ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო.
მუნიციპალიტეტში იგეგმება ისეთი ღონისძიებები, რომელიც ახალგაზრდებში გარკვეულ ცოდნა-წარმოდგენების განვითარებასა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას შეუწყობს ხელს. ამის მაგალითებია მედია-პროექტი „ეტალონი“, რომელიც იმართება ყოველწლიურად. (დაფინანსება 2960 ლარი). განხორციელდა დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანება- საქართველოს სტუდენტური პარლამენტის პროექტი „ქართული კულტურის დღეები- ერევანი 2022“, რომელიც დაფინანსდა 3250 ლარით, მონაწილეობა მიიღო 5 ახალგაზრდამ მათგან 4 მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები და ერთიც სტუდენტი გახლდათ. განხორციელდა ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურისტული სკოლის პროექტი „ზამთრის საველე ტრენინგები“ გუდაურის საწვრთნელ ცენტრში - მუნიციპალიტეტის 14 მოსწავლემ მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ ტრენინგებში დაფინანსება შეადგენდა 4500 ლარს. ახალგაზრდულმა ტელევიზიამ “GNS“ მხატვრულ-დოკუმენტური გადაცემა „იარე ჩვენთან ერთად“ გადაიღო დოკუმენტური ფილმი რაჭაზე, რომელსაც მოხმარდა 3000 ლარი.
ფართო მასშტაბით აღინიშნა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, ჩართული იყვნენ მუნიციპალიტეტის 9 საჯარო სკოლის მოსწავლეები.
მერის ინიციატივით 2023 წელს, მუნიციპალიტეტის 5 საუკეთესო შედეგის მქონე სტუდენტს დაენიშნება ონის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდია თვეში 200 ლარის ოდენობით. „წარმატებული

სტუდენტებისთვის ონის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიის მინიჭების“ კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების შესახებ დ ე ბ უ ლ ე ბ ა შემუშავებული და დამტკიცებულია.

სპორტი

მუნიციპალიტეტში, სპორტით დაინტერესებულ მოსახლეობას შეუძლია ისარგებლოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სლავა მეტრეველის სახელობის ცენტრალური სტადიონით, 6 მინი ფეხბურთის სტადიონით ქალაქ ონში და 17 მინი ფეხბურთის სტადიონი სოფლებში. დასასრულებელია სოფლად 5 მინი ფეხბურთის სტადიონი. სპორტული კომპლექსით, რამდენიმე ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობებით. მოსახლეობის სამსახურშია აგრეთვე, სოფლად არსებული სპორტული მოედანი.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბეერ-შევას სახელობის პარკში ტიპიური საჭიდაო დარბაზის მშენებლობა, რომლის საერთო სახელშეკრულებო ღირებულება 1436221 ლარია. მიმდინარე წელს მოეწყო ტრენაჟორები ვახტანგ VI -ის ქუჩაზე. მიმდინარეობს სპორტული მოედნების მოწყობა სოფლებში საკაოსა და წედისში.

ონის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტიდან სპორტულ ღონისძიებების ჩატარებისთვის გამოიყო - 6020 ლარი, მათ შორის, ევროპის სპორტის კვირეულისთვის- 768 ლარი, სპორტის საერთაშორისო დღის აღნიშვნისთვის -1320 ლარი და სასკოლო სპორტული ოლიმპიადის დასაფინანსებლად - 3932 ლარი. მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურისა და ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის ორგანიზებით, აღინიშნა „საერთაშორისო სპორტის დღე მშვიდობისა და განვითარებისთვის“. გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები და ფასიანი საჩუქრები.

ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, ასევე სპორტის მასობრიობის მხარდასაჭერად, ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა ,,მამისონი“-სა და ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის „ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსის“ ორგანიზებით, ჩატარდა არჩილ ჩაგელიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, მინი ფეხბურთში, მუნიციპალიტეტის დაწესებულებებს შორის. ტურნირში მონაწილეობა მიიღო 8 გუნდმა. გაიმარჯვა, მერიის გუნდმა და მოგებული საპრიზო თანხა, გადაეცა მრავალშვილიან დედას სოფელ ცხმორიდან ლალი მაისურაძეს და ღვაწლმოსილ პედაგოგს ქალბატონ ირა სირაძეს. საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებს გადაეცათ ფულადი ჯილდო და ფასიანი საჩუქრები.

პრაქტიკაში დაინერგა წამატებული სპორტსმენების დაჯილდოება. წელს ამ ღონისძიებისათვის დაიხარჯა 3400 ლარი.

მუნიციპალიტეტის დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდების ჩართულობას სპორტში. ამის დასტურია სპორტული ა(ა)იპ ორგანიზაციების დაფინანსება. ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსის დაფინანსება მიმდინარე წელს შეადგენდა 163 700 ლარს, აქედან სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 44 899 ლ. ხოლო ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონის დაფინანსება 84 000 და აქედან სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 15 120 ლარით.

ბავშვის უფლებების დაცვა და მხარდაჭერა

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება ფუნქციონირებს მიმდინარე წლის 1 მაისიდან. 1 მაისიდან დღემდე შემუშავებულია:

1. ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელების ინსტრუქცია და ფორმები - ონის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 20 ივნისის N ბ78.782217112 ბრძანება.

2. ონისმუნიციპალიტეტისმერიისბავშვისუფლებებისდაცვისადამხარდაჭერისგანყოფილებისპროფესიულსაჯარომოხელეთასამუშაოსაღწერილობები(თანამდებობრივიინსტრუქციები) -ონის მუნიციპალიტეტი მერის 2022 წლის 30 ივნისის N ბ.78221814.
3. მომზადდა ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამისა და მიზნობრივი მხარდაჭერის გაცემის წესის პროექტი, რომელიც დამტკიცდა საკრებულოს სხდომაზე მიმდინარე წლის 27 ოქტომბერს.

ზემოთ აღნიშნული პოზიტიური ტენდენციების ფონზე უნდა ითქვას, საანგარიშო პერიოდში შემუშავებულმა რამდენიმე ათეულმა პროგრამამ და ქვეპროგრამამ შეავსო ის მუნიციპალური ვალდებულებები, რაც მოსახლეობის ღირსეულ მომსახურებას სჭირდება. მიუხედავად უამრავი შესრულებული სასიკეთო საქმისა, მუნიციპალიტეტში კვლავ ბევრი გამოწვევა და საჭიროებაა. ყველა პრობლემის ერთბაშად მოგვარება წარმოუდგენელია. მაგრამ ჩვენი საბიუჯეტო რესურსის ოპტიმალური ხარჯვით ჩვენ შევძელით ძირითად გამოწვევებზე პასუხი გაგვეცა, რამაც სასიკეთოდ შეცვალა ჩვენი თანამოქალაქეების ცხოვრება. ყოველივე ეს, თითოეული სამსახურის ეფექტური და კოორდინირებული მუშაობის შედეგია, რაც პირდაპირ აისახა მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებისა და მუშაობის ეფექტიანობის ხარისხზე.

ონის მუნიციპალიტეტის მერი **სერგო ხიდეშელი**